წლიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. სამშაბათი აგვისტოს 15 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
[illegible] გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
საზღვარგარეთის განცხადების [illegible] დღე [illegible] ჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 103 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 103

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. საქართვ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

განცხადება.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ვაჭარ იაკობიშვილს (კათოლიკეთა ქუჩა) მოუვიდა საძირე ტყავი, რომელიც ორშაბათიდან მიეყიდება მცხოვრებლებს გირვანქა 7 მან. 50 კაპ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
აგვისტოს 10, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი
პრერიის ეშმაკები
დრამა 3 ნაწ. წითელ კანიანების ცხოვრებიდან. **ტომ მიკსის** მონაწილეობით.
ბერტის ორკესტრი სახუმარო.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
აგვისტოს 10 ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი
ზურგი ვაქციოთ ძველ-ადათ წესებს
დრამა 5 ნაწ. მონაწ. გორიჩევის და ნერონოვის

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
ტიტე მარგველაშვილის წიგნი
ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი
ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

მოსკოვის თათბირი.

კვირას მოსკოვში დაიწყო რუსეთის სახელმწიფოს თათბირი. დღევანდელ კრიტიკულ მომენტში დიდი მნიშვნელობა აკუთვნეს მოსკოვის ბჭობას. თათბირში სამონაწილეოთ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყვნენ სრულიად რუსეთის რევოლუციურ ორგანიზაციების აღმ. კომიტეტების და პოლიტიკურ მიმართულებათა წევრები. დაწყებულ თათბირის ანგარიში დეპეშებს ჯერ არ მოუტანია, მაგრამ უფრო საყურადღებოა კვირას მოსული ცნობები. საიმედოთ აღსარებულ თათბირს ელმაცერათ შეხედა სოციალისტურმა პარტიამ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დასწრებაზე უარი განაცხადა. სოც.-დე-ბი თათბირს კონტრევოლუციურს უწოდებენ. ამბობენ, რომ თათბირზე დიდი გართულება არის მოსალოდნელი. რაც მოხდება, იმის წინასწარ განსჭვრეტას ჩვენ არ ვკისრულობთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მოსკოვის თათბირი ვერ იქცევა რუსეთის მხსნელათ, რევოლუციურ ძალთა გამაერთიანებლათ. თუ უკმაყოფილება გაძლიერდა და აქტიური ხასიათი მიიღო, ეს დიდ განსაცდელს დაუყენებს რევოლუციას და გაალრმავებს დაშლა-დარღვევის პროცესს.

ირ—დი.

ვატიკანი და ზავი.

კათოლიკეთა სულიერმა მამამ, პაპი ბენედიკტე მე—XIV, სამშვიდობო ნოტით მიმართა მებრძოლ სახელმწიფოთ. რას წარმოადგენს არსებითად ხსენებული ნოტა და როგორის ნაყოფის მოტანა შეუძლია მას? აი მთავარი კითხვა.

მსოფლიო ომი ძველის გზით, ძველის ლოზუნგებით მიმდინარეობს. დაპყრობა დამონება მისი თანამგზავრია. სულ სხვა კითხვაა, მოჰყვება ომს კაცობრიობისათვის რამე სიკეთე თუ არა: მაგალითად, ჩაგრულ ერთა თვით გამორკვევის უფლების განხორციელება და საერთო განახლება რევოლუციის გამოწვევით თუ რეფორმებით. ეს ომის შეგნებული მისწრაფება კი არ არის, არამედ მისგან ძალა უნებურათ გამოწვეული მოვლენა.

რომის პაპი გამოდის და ისეთ საზავო მიმართვას აქვეყნებს, რომელიც თანამედროვე ძალთა განწყობილების დროს სიზმარშიაც არ მოუვა ადამიანს. ჩვენს საუკუნეში ძალა სწყვეტს ყველაფერს. რომის პაპი ასახელებს იმ საფუძველს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ომის ლიკვიდაცია: საერთაშორისო სამართალი, არბიტრაჟი. შეიარაღების შემცირება, ეროვნულ ზღვების ნამდვილი თავისუფლება, დაპყრობილ ტერიტორიების დაბრუნება, ომის მეოხებით დამხობილ ერების აღდგენა და ისეთ სახელმწიფოს, რომელიც საერთაშორისო დადგენილებას არ დაექვემდებარება საერთაშორისო სამართლის ძალით დამორჩილება.

კაცობრიობას ეს სჭირია, ახლობელი სამოთხე ეს არის მაგრამ ..

ზემოთ ვსთქვით, რომ ომი თავის გარკვეულ ვერაგულ მიზანს ატარებს. სისხლისაგან იცლებიან, ქონებას ანადგურებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მეტოქეობა მოსპონ ვენებას არ აძლევთ.

პაპის ნოტა ვერ გასჭრის ასეთ გარემოებაში. მისი წინადადება ხორცს ვერ შეისხამს და უდაბნოსა შინა დარჩება ხმათ მღაღადებლისათ ისე, როგორც ცდას წინანდელი მისი ნოტები პაპის ერთი დიდი შეცდომა სხვათა შორის ის არის, რომ მას აზრათ აქვს ომი დროებით შესწყვეტოს და მებრძოლნი მოასვენოს. ეს არ იქნება ომის უფრო გამძვინვარება? მოპირდაპირენი ძალას მოიკრებენ და ისევ გააგრძელებენ ბრძოლას. ვილსონებს და პაპს არ შეუძლიათ ხელოვნურათ მსოფლიო ურედურების დასრულება.

ომი მივა თავის უკანასკნელ წერტილამდე და, მეტი სავალი რომ აღარ ექნება, კისერს მოიტეხს. ამ ჟამათ ომის შესაწყვეტათ პირობები, ნიადაგი სრულიად არ არის ბრძოლის ველზე დიდი ამბები ხდება, გერმანეთი რუსეთს დაქცევას უპირებს, უზარმაზარი ჩინეთი ომში ჩაერია, იტალეთ - საფრანგეთ - ინგლისი მძაფრ იერიშებს აწყენებენ... ამ დროს შეიძლება კაცობრიულ მიმართვით საშინელ ბრძოლის შეჩერება?

არა და არა. ომის დასასრულს ისევ მისივე მსვლელობაში უნდა ველოდეთ და არა ვატიკანის დიპლომატიურ გამოსვლებში.

რეს.

სასურსათო კითხვა.

წერილი მეორე.

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ სასურსათო კრიზისის საბედისწერო მნიშვნელობას ძველი რეჟიმისათვის; ახლა საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ იმ პირობებს, რომლებშიდაც სასურსათო კომიტეტებს უხდებათ მუშაობა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საზოგადოებაში უკვე გაისმის უკმაყოფილების ხმა.

რევოლუციის პირველ დღეებში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრთაგან შემდგარმა კომისიამ, ხოლო შემდეგ სახელმწიფო სათათბირო კომიტეტმა. საჭიროდ სცვნეს დაუყოვნებლივ შესდგომოდენ უპირველს ყოვლისა ჯარის უზრუნველყოფას სურსათით და სხვა საჭირო საგნებით. ჯარს უმთავრესად პური ესაჭიროებოდა; ამისთვის 25 მარტს კანონის ძალით გამოცხადდა პურის „მონოპოლია“ და პურზე მტკიცე ფასი შემუშავდა. ამ გარემოებამ ბაზარზე პურის გამოტან თვალსაჩინოდ შეამცირა. მაშინ მთავრობა რეკვიზაციით დაემუქრა პურის გამყიდველთ. მაგრამ პურითა და ფულით მდიდარი სოფელი ამ მუქარას არ შეუშინდა და პურის მტკიცე ფასებში გაყიდვაზე უარი განაცხადა. უკმაყოფილო სოფელი მიწის დამუშავებაზე უარს ამბობდა და თხოულობდა ფართლეულობას, რკინას ტყავს და სხვა საჭირო საგნებს. რასაკვირველია, სახელმწიფო სათათბირო კომიტეტის მოქმედების გეგმაში, ჯართან ერთად, ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც შედიოდა, მაგრამ, როგორც წინა წერილში განვმარტეთ, ეს არც ისე ადვილი აღმოჩდა. ამავე დროს რუსეთმა დაჰკარგა პოლონეთი, რომელიც საქონელს ბლომად აწვდიდა მას, კარგავს ისეთ ადგილებს, რომლებიც რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობას ასაზრდოებდენ, კარგავს პურის და სხვა სურსათისა ახალ მოსავალსაც (ბესარაბია). ცხადია,—ასეთ პირობებში მეტად ძნელია და, თუ გნებავთ, შეუძლებელიც არის სასურსათო საქმის მოწესრიგება. მაშ რა გზას უნდა დავადგეთ? ჩვენ უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება უკეთ მოუაროთ მას, რაცა გვაქვს; უნდა შევქნათ, რაკ შეიძლება მეტი ღირებულება. საჭიროა სასურსათო კომიტეტების ენერგიული მუშაობა, საჭიროა ფართო აგიტაცია სოფლად და, თუ ინტელიგენცია შეეცდება, დღევანდელი განსაკუთრებული პირობები ბევრს შესძენს ჩვენს მეურნეობას. დროა სიტყვიდან საქმიანობაზედ გადავიდეთ.

z.

პრესა.

მოსკოვის სახელმწიფო თათბირი.

არც ერთი ქართული გაზეთი დიდ იმედს არ ამყარებს მოსკოვის სახელმწიფო თათბირის მუშაობაზე. მიუხედავად ამისა გაზ. ,,საქართველოს'' საჭიროდ მიაჩნია თათბირზე როგორც რუსეთის ცხოვრების მოსაწესრიგებლად მოწოდებულ კრებულზე გაბედულად გაისმას ქართველობის წარმომადგენლის ხმა.

,,საქართველოს რწმუნებულს აწევს სპეციალი და მეტად თვალსაჩინო მოვალეობა და მისი პირნათლად შესრულება პირველ-ხარისხოვან პოლიტიკურ აქტად ჩაითვლება რევოლუციურ ყრილობის წინაშე. ქართველი ერის ჭეშმარიტი რწმუნებული განაცხადებს მოსკოვში, რომ ხალხთა ენტუზიაზმის გამოსაწვევად, რევოლუციის და თავისუფლების დასახსნელად საჭიროა ყველა სხვა უფლებათა განხორციელებასთან აღიარება ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა''.

გაზეთი აღნიშნავს რუსეთის აღრევის ერთ მთავარ მიზეზთაგანს: ჩაგრულ ერების წინანდელ მდგომარეობაში დარჩენას.

,,სავსებით უკუგდებული უნდა იყვეს ძველი მეთოდი, რომელმაც უდიდესი სახელმწიფო უფსკრულის პირას დააყენა. რუსეთს განსაცდელისაგან იხსნის უფლება მოსილ ერთა შეერთებული ნების-ყოფა.

ამ იდეით გამსჭვალული რევოლუციური რუსეთი სძლევს მის წინ აღმართულ დაბრკოლებებს. ანდრეევის ანათემასებრ აღარ იდგება იგი ატუზული უკნობ კართან და უმწეოდ არ შეეკითხება რევოლუციის ღმერთს, რომ აუწყოს მას საიდუმლოება: გასაღები მას ხელთ ეპყრობა და დაუყოვნებლივ შევა სამეფოში, სადაც აღიარებულია თავისუფალ ერთა თანამშრომლობის პრინციპი''.

კერძოდ ქართველობის შესახებ კი გაზეთი სწერს:

,,200,000-ზე მეტი საქართველოს საუკეთესო შვილი თავგანწირულად იბრძვის რუსეთის სხვადასხვა ფრონტზე. ისინი შესანიშნავ მეომრებად ითვლებიან სამხედრო ავტორიტეტების დამოწმებით და ბევრჯელ განსაცდელისაგან დაუცავთ ბრძოლის ხაზი: უტეხ კლდესავით მდგარან მაშინ, როდესაც სხვები შიშით თავზარ დაცემულნი შინისკენ მორბოდენ. ამ გმირების სამშობლოს უფლება უნდა დაუბრუნოს რუსეთის მთავრობამ, რომ მათში გამოიწვიოს ის პატრიოტული ენტუზიაზმი, რომლის გასაღვივებლად მოწვეულია მოსკოვის კრება''.

ამ მხრივ ,,სახალხო საქმეც'' ბევრს არას მოელის თათბირისაგან.

,,ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა გზას დაადგება მოსკოვის თათბირი. მაგრამ თათბირის შემადგენლობა არ არის რუსეთის ერების სისწორით გამომსახველი''.

,,ერთობა'' მოსკოვის თათბირში კონტრრევოლუციურად დარაზმულ ბურჟუაზიის გამოსვლას ხედავს.

,,ბურჟუაზიული წრეების მიზანია დამფუძნებელი კრების დასამარება. საკმარისია მისი მოწვევა კიდევ რამოდენიმე თვით გადავდვათ, რომ ქვეყანათ ანარქია გაძლიერდება, კონტრ რევოლუცია ფესვებს გაიდგამს და თავისუფლება დაიმარხება. ამიტომაც თათბირზე მემამულენი და ვაჭარ-მრეწველნი უთუოთ შეეცდებიან დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებას''.

ბურჟუაზიას დამფუძნებელ კრების გადადება თავის მიზნების მისაღწევად სჭირია.

,,ბურჟუაზია და მემამულენი დიდი ხანია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ებრძვიან. მათი ძალა გავლენის დაცემით კონტრ-რევოლუციას გზას უკაფავენ და დემოკრატიის ბატონობის დამხობას ელტვიან, ამ მიზნით ეჭვს გარეშეა ბურჟუაზიისა და მემამულეთა წარმომადგენლები შეეცდებიან თათბირზე საერთო ,,ნაციონალური'' ორგანოს არჩევას. რომელიც კრიჭაში ჩაუდგება რევოლუციურ დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტს და მისი მოღვაწეობის გაბათილებას ეცდება. ასეთი ორგანოს არჩევა კონტრ-რევოლუციონერთა ცენტრის მოწყობა იქნება. საჭიროებისას კონტრ-რევოლუციონერები ამ ორგანოს დაეყრდნობიან და მთელი რუსეთის სახელით კონტრ-რევოლუციის წისქვილს აამუშავებენ''.

რას მოიტანს მოსკოვის სახელმწიფოებრივი თათბირი, ჩვენ ჯერ არ ვიცით. ხოლო ის კი უეჭველია, რომ იგი კრიჭაში ჩაუდგება უკიდურეს მემარცხენეთ და შესაძლოა რევოლუციის მიმართულებას ერთდაგვარი, თავისებური ელფერი მისცეს და მისი განვითარებაც შეაფერხოს. თუ რევოლუციამ ჩაგრულ ერთა უფლებები არ უზრუნველჰყო, უეჭველია ის შეფერხდება კიდეც და მეტად ცუდ ნაყოფებსაც გამოიღებს რუსეთისათვის. მოსკოვის სახელმწიფოებრივი თათბირი კი, იმის მიხედვით, თუ რა პირობებში და ვისის თანხმობით იწვევენ მას. მოსალოდნელია ჩაგრულ ერთა განთავისუფლების წინააღმდეგ წავიდეს.

რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

დეპუტატთა საბჭო და სახელმწ. თათბირი

მოსკოვი აგვისტოს 11. დეპუტატთა საბჭოს სხდომაზე სარაინო საბჭოთა უმრავლესობა მოითხოვდა სახელმწიფო თათბირისათვის პროტესტის გამოცხადებასა და 12 აგვისტოს კონტრევოლუციურ თათბირის წინააღმდეგ გაფიცვისა და დემონსტრაციების მოხდენას. ზოგიერთი ორატორი ამბობდა. თათბირი უნდა ჩავშალოთო. ბოლშევიკები მოითხოვდენ პროლეტარიატის აქტიურ გამოსვლას, პროტესტებსა, გაფიცვას და დემონსტრაციებს სახელმწიფო თათბირის წინააღმდეგ. მენშევიკები და ესერები კი დაჟინებით ამბობდენ: თათბირში მონაწილეობა უნდა მივიღოთ და გაფიცვებისაგან თავი შევიკავოთო.

ასეთი აზრი მიღებულ იქმნა კრების 364 ხმით 277 ხმის წინააღმდეგ.

ოფიცერთა კავშირის რეზოლუცია.

ბანაკიდან. აგვისტოს 11. ჯარისა და ფლოტის ოფიცერთა კავშირის არა ჩვეულებრივ კრებაზე აგვისტოს 10-ს მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ოფიცერთა და გიორგის კავალერთა კავშირი ეყრდნობა ყაზახთა ნაცად ერთგულობას მამულის დაცვის საქმეში. ჩვენ, ყველანი, სამშობლოს სამსახურის სურვილით შეერთებულნი, ვფიცავთ დაზიანებულ სამშობლოს წინაშე არ გავშლით დაკრეფილ ხელებს ვიდრე ძლიერის კავშირით დაცული რუსეთი არ აღსდგება წმიდათ სირცხვილის შემდეგ და გამაჯრვებულო დამარცხების შემდეგ;

ბოლშევიკები.

მოსკოვი 11 აგვისტო მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორის განკარგულებაშია დღეს იმ საცირკულ არა დეპეშის პირი, რომელიც მოსკოვის საოლქო ბოლშევიკურ ორგანიზაციის ბიურომ გააგზავნა 4 ივლისს პეტროგრადში ქარხნებისა ჯარის გამოსვლის შესახებ და რომელშიდაც მოუწოდებენ დემონსტრაციებისა და გაფიცვებისადმი

და მოითხოვენ მთელი უფლების ხალხის ხელში გადასვლას.

აგრარული საკითხი

პეტროგრადი. აგვისტოს 10. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა მოანდომოს მთელი რიგი სხდომებისა აგრარულ პოლიტიკის დაწვრილებით გარკვევას. 9 აგვისტოს მიწად-მოქმედების მინისტრმა გამოაქვეყნა პროექტი მთავარ სამიწო კომიტეტისა, რომლის უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის საქმის მოწესრიგება მიენდოს მხოლოდ ადგილობრივ სამიწო კომიტეტებს. პროექტმა წინააღმდეგობა გამოიწვია მინისტრებისაგან, რომლებიც ეკუთვნიან სახალხო თავისუფლების პარტიას და ამ სხდომაზედ მთავრობას არავითარი გარკვეული დადგენილება არ მიუღია. 10 აგვისტოს ჩერნოვმა წარმოადგინა დრ. მთავრობის სხდომაზე პროექტი იმ წესებისა, რომლებმაც განკარგება უნდა შეიტანოს სამიწო საქმეში და რომლის თანახმად ყოველგვარი მიწა შეიძლება გადავიდეს ერთის ხელიდან მეორეში სამფლობელოდ, სამოსახმაროდ ანუ საგანკარგულებოდ, მაგრამ მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებიც დადგენილი იქნება მოქმედი კანონებით. სამეურნეო მნიშვნელობის მიწების მოხმარების განკარგება ევალება სამიწო კომიტეტებს. თუ კომიტეტი ფიქრობს, რომ მემამულეს ანუ მოიჯარადრეს არ ძალუძთ თავისი საშუალებით წესიერად დაამუშაონ მიწები, მემამულეს და მოიჯარადრეს ნება ეძლევათ დაიტოვონ მიწები, მაგრამ თავიანთ პასუხის მგებლობის ქვეშ. მიწის დაუმუშავებლობისათვის გადახდებათ იმოდენა ჯარიმა, რაც ეღირება შემოსავალი. ის მიწები, რომელთ დამუშავება ამთ პატრონთაგან ანუ მოიჯარადრეთაგან კომიტეტებს შეუძლებლად მიაჩნიათ და არა უზრუნველყოფილად. გადაეცემა მაზრის კომიტეტებს სხვებზე გადასაცემად გარკვეულად შედგენილი პირობით და დადგენილი წესების დაცვით. უქმდება აგრეთვე ყოველგვარი საიჯარო გადასახადი ნატურით. არსდება ფულით გადასახადი. მთავრობამ მოისმინა-რა პროექტი, მისი განხილვა შემდგი სხდომისთვის გადასდვა და შეუდგა ტყეების დაცვისა და სატყეო პოლიტიკის განხილვას, რომლის დედა აზრი მდგომარეობს შემდეგში: სამიწო კომიტეტებს ეძლევა ახალი უფლებანი უზრუნველჰყონ მცხოვრებნი შეშით და საშენებელი მასალით. სატყეო პოლიტიკა მთავრობისა უნდა მდგომარეობდეს ტყეების სიმდიდრეთა გონიერ მოხმარებაში და სახელმწიფოსი და ხალხის უზრუნველყოფა შეშით. ზედმეტი ტყე უნდა გაიზიდოს საზღვარგარედ. დროებითმა მთავრობამ პროექტი მოიწონა.

დეპუტატების რიცხვი დამფუძნებელ კრებისათვის.

პეტროგრადი. აგვისტოს 10. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა შემდეგი რიცხვი დეპუტატების დამფუძნებელ კრებისთვის: ამიერ-კავკასიიდან 32, კიევის გუბერნიიდან 20. პოდოლისა 18, პერმისა 17, დონის ჯარისა, სამარისა და ეკატერინოსლავისა 16—16, ხარკოვისა, ხერსონისა, ტამბოვისა, ვიატკისა და ვორონეჟისა 15—15, ყუბანის, შავი ზღვის ოლქისა, ვოლოგდისა და ვიტებსკის გუბერნიებისა—7—7, პრიამურის ოლქისა, სემირეჩინსკისა და ზაბაიკალის, პსკოვის, კლუგის და ენისეის გუბერნიების—6—6, ურალისა და სამარკანდის ოლქებისა, ესტლიანდიისა და ირკუტსკის გუბერნ.—5—5, ტურგაის ოლქ., ლიფლიანდიის და კურლიანდიის გუბ. 4—4, იაკუტსკისა და კასპიის იქითა მხარის ოლქებისა, ოლონეცკისა და არხანგელის გუბერნიებისა—2 - 2, კამჩატკის ოლქისა, მაზრებისა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინ. გზ., ორდანსკისა დ. ამუდარისა—1—1.

ყაზახთა წრის კრება.

ნოვორჩერკასი. აგვისტო 11. ყაზახთა წრის უკანასკნელ სხდომაზე მოვიდა დონის პირველი ჯარის ოთხი ყაზახი, რომელთაც ბრალი ედებოდათ ივლისის ამბების დროს ბოლშევიკების ხელის შეწყობაში ისინი მუხლმოყრილნი ითხოვდენ შენდობას, აგრეთვე სამშობლოს წინაშე ჩადენილ ცოდვის გამოსასყიდლად შუამდგომლობდენ, ბრძოლის ველზე გაგვაგზავნეთო. წრემ დაადგინა გადასცეს ისინი სამხედრო სასამართლოს. განხილულ იქმნა დამფუძნებელ კრებისათვის კანდიდატების სია. აგრეთვე არჩეულია ორი პროგრესისტი და ექვსი კადეტი მოსკოვის თათბირისათვის წამსვლელთ დარიგება აქვთ მიცემული, რომ მთავრობა უნდა აირჩიოს მოსკოვის თათბირმა ან დროებითმა კომიტეტმა და არა ცალკე პარტიამ. ასეთ მთავრობას უნდა ჰქონდეს სრული უფლება. ის მხოლოდ დამფუძნებელ კრების წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი. დაადგინეს აგრეთვე დაჟინებით მოითხოვონ ნაძალადევი სესხი. უნდა მიღებულ იქმნას ზომები უკრაინელთა სეპარატიულ მიდრეკილებათა წინააღმდეგ.

ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ჩერნიგოვი უკრაინაში. აგვისტოს 11 დემოკრატიულ ორგანიზაციებისა, რადის ადგილ მამული და სასურსათო კომიტეტების ყრილობაზე ერთხმად დაადგინეს გამოუცხადონ სრული ნდობა დროებითი მთავრობას, რადგანაც ივლისის 8-ის დეკლარაციით ხელმძღვანელობას განაგრძობს, გამოუცხადონ ნდობა ცენტრალ რადას, გენერალურ სეკრატარიატს, თუ ესენი სარევოლუციო დემოკრატიასთან თანხმობით იმოქმედებს.

სეკრატარიატის დარჩენა.

კიევი. აგვისტოს 12. მცირე რადის დახურულ სხდომაზე განიხილეს გენერალურ სეკრეტარიატის გადადგომის კითხვა. სოციალ-დემოკრატებმა და არა უკრაინელ დემოკრატიის წარმომადგენლებმა აზრი გამოსთქვეს, რომ სეკრატარიატის გადადგომა არ მიიღონ. ვინაწნიჩენკომ დანარჩენ სეკრეტარების სახელით განაცხადა, რომ შუამდგომლობა გადადგომის შესახებ მას უკან მიაქვს.

კერენსკი და ფინეთი.

ფინეთის გენერალ-გუბერნატორ სტახოვიჩს კერენსკიმ გადამჭრელი ზომების მიღების უფლება მისცა, რათა სეიმის სხდომები არ განახლდეს. მანვე სამხედრო მთავრობას კატეგორიული დირექტივები უბოძა.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. აგვისტოს 11. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რიგა. აგვისტოს 12. სტრატეგიულის მოსაზრებებით ჩვენი ჯარი შლოკის მიმართულებით ახალ პოზიციებისკენ გადმოვიდა გერმანელების ცდამ, უფრო უკანდაევხიეთ, უნაყოფოდ ჩაიარა. ელაისკის მიმართულებით არტილერიული სროლა ინტენსიურად სწარმოებს. მდინარე აას მარჯვენა სანაპიროები მკაცრი სროლის ქვეშ მოემწყვდა. ჩვენ ნაყოფიერად უპასუხებდით.

ბერდიჩევი აგვისტოს 11. უკანასკნელ დღეებში სამხ. დასავლ. მტერს გაცხოველებული მოქმედება ეტყობა ის აქეთკენ თავის ძალებს თავს უყრის. ბროდის მიმართულებით ძლიერ ცეცხლს აწარმოებს.

პეტროგრადი. აგვისტოს 12 მთავარი შტაბისაგან. ბარანოვიჩის მიმართულებით განსაკუთრებით სოფ. ლაბუზასთან გერმანელები მკაცრად უშენ ჩვენ სანგრებს ოგინის არხზე მარტინოვის მიდამოებში ქარიშხალისებურ ცეცხლის წარმოების შემდეგ მტრის ერთმა ბატალიონმა ჩვენს სანგრებს შემოუტია. კონტრიერიშით მდგომარეობა აღვადგინეთ მდ. ზბრუჩზე ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ. მათ 10 ავსტრიელი წამოიყვანეს ტყვედ.

რუმინეთის ასპარეზი

პეტროგრადი. აგვისტოს 12. ოკნას მიმართულებით მოწინააღმდეგის მკარე იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. აგვისტოს 12. გიუმიშხანეს სამხრ. დასავ. ჩვენმა მზვერავთა რაზმმა ოსმალთა საყრდნობ პუნქტს შემოუარა, 4 მიწურს ყუმბარები დაუშინა, 39 ოსმალო დახოცეს, დანარჩენი გაჰფანტეს. ხელთ იგდეთ 1 ტყვიის მფრქვეველი. უკან დაბრუნებისას მათ სროლა აუტეხეს ოსმალთა დარაჯებს ააფეთქეს ორი ფუკარი, გამოარღვიეს მავთულის ხლართები და თან წამოიყვანეს დაჭრილები და მოიტანეს ტყვიის მფრქვეველი. მდ. კალკიტის ველზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა ოსმალთა მავთულის ხლართები გაარღვიეს და 1 როტა გააქციეს. უშუნის დასავლეთით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს მტერი შეკიფასაკენ იხევს.

მფრინავთა მოქმედება.

პეტროგრადი. აგვისტოს 12. სმარგონის სამხრეთით ჩვენს ფარგლებში ჩამოაგდეთ მტრის საფრენი.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

მომქმედი არმია. აგვისტოს 10. ტუკუმის მიმართულებით რატგაცემისა და კემმერენის მიდამოებიდან მოწინააღმდეგის ძალდატანებით ჩვენმა ჯარმა შლეცენის ტბისა და ფრანკენდორფისკენ დაიხია. ამ გზით გერმანელთა არტილერია მძლავრად მოქმედებდა. შაბიტის ტბის სამხრეთით ხელჩართული ბრძოლის შემდეგ გერმანელ მზვერავთა რაზმი გავფანტეთ და ტყვეები წავართვით. მტრის ზარბაზნები აქაც მძლავრად უშენდა ჩვენ სანგრებს. კოზიტუბის შემოვლის დროს კონტუზია მიიღო დივიზიის უფროსმა მამაცმა ღენ. მაიორმა კრუპენსკიმ. მშ. კუკაუს მიდამოებში გერმანელების მოწინავე რაზმებმა მოქმედება გააძლიერეს. ვოლონ სოკალის მიმართრლებით აგვისტოს 9 სზორამ-ილუმკას მიდამოებში გერმანელთა ერთმა ბატალიონმა წინსვლა დაიწყო და სზიროშნასთან შემოგვეჭრენ, მაგრამ კონტრი იერიშებით მოვიგერიეთ.

რუმინეთის ასპარეზი.

მომქმედი არმია. აგვისტოს 10[illegible] სნიატინის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენს პოზიციებზე მტერმა იერიში მოიტანა და 1 [illegible] დაიჭირა. კონტრიერიშებით მდგომარეობა აღვადგინეთ. ოკნას მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. გუშინ მთელი დღის განმავლობაში მტერის იერიშები მოჰქონდა და გროზესჩის ჩრდ. უფრის, სტოკოლმისა და სოვეჯის მიდამოებში. ფოკშენის მიმართულებით 9 აგვისტოს ღამით გერმანელებმა მონასტრ მორესჩის ხაზს შემოუტიეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

კავკასიის ასპარეზა.

პეტროგრადი. აგვისტოს 10 სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება.

პეტროგრადი. აგვისტოს 10. რიგის სანაპიროზე ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდო მტრის ორი ჰიდრო პლანი, რომელიც ზღვაში ჩამოვარდა.

ახალი ამბავი.

უქმეების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი მორიგი ნუმერი გამოვა აგვისტოს 17-ს.

◆ **მარიამობა.** დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმ. მარიამობას უქმობს.

◆ **კავშირიდან გამორიცხვა.** ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიულმა გამგეობამ კავშირის წევრობიდან გამორიცხა **სევერიანე ნი—ს ძე ბახტაძე**, როგორც დეზორგანიზატორი და მუშებში არევ-დარევის შემტანი.

◆ **ციხიდან განთავისუფლება.** ციხიდან გაანთავისუფლეს პროფ. ლომიძე და და ისიდ. დავითაშვილი. ესენი იქნებიან ზედამხედველობის ქვეშ.

◆ **თხოვნის შეწყნარება.** გუბერნიის კომისარს სააქციზო მოხელენი სთხოვდენ, რომ მათ ნება მისცემოდათ ეტარებინათ განსაკუთრებული ნიშნები. კომისარმა ნება დართო.

◆ **თხოვნა.** მიწის-მზომელთა სამმართველო გუბერნიის კომისარს სთხოვს აღმოუჩინოს ჰელადიდში გაგზავნილ გადამიჯვნის კომისიას ფაქტიური დახმარება.

◆ **ჩვენი გაზეთის** დღევანდელ ნუ

წყალტუბოს სამკურნალო აბანოები.

წერილი პირველი.

წყალტუბოს წყლებზედ, ანუ უკეთ ვთქვათ, აბანოებზედ, დიდი ხანია, რაც მე მსჯელობა მქონდა და მოხსენებანიც წავიკითხე სხვადასხვა არსებებზედ, როგორც თბილისში, აგრეთვე პეტროგრადში, მაგრამ ეს სამაგალითო აბანოები, რომლის მსგავსი არა თუ კავკასიაში, მთელ ევროპაშიც კი არ არის, დღესაც სრულიად უყურადღებოთ არის დარჩენილი და საზოგადოებას არა აქვს წარმოდგენილი მისი დიადი მნიშვნელობა. დიდი ცდა და დავიდარაბა დასჭირდა, ვიდრე მთავრობა იმდენ ზომებს მაინც მიიღებდა, რომ ეს წყლები გამოეკვლიათ ქიმიურად რა „რადიის არსებობის მხრივ." „რადიის" შესახებ გამოკვლევა მოხდა მხოლოდ ოთხი ხუთი წლის წინეთ, თუმცა ეს დიდ მნიშვნელოვანი ელემენტი თუთხმეტი წლის წინათ აღმოაჩინა წყალტუბოს წყლებში კარგად ცნობილმა, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბ. პეტრიაშვილმა.

მთელი რუსეთის ცოტაოდენათ მაინც შეძლებული ხალხი ყოველ-წლობით საგარაკოთ, საექიმოთ და მოსასვენებლათ გარბოდა საზღვარ-გარეთ და იქ ფლანგავდა ყოველწლიურად არანაკლებ ორას მილიონ მანეთისა, მაშინ როდესაც ევროპის არც წყლები და არც ჰაერი, არაფრით არ სჯობია ჩვენს წყლებსა და ჰაერს. ომი რომ გამოცხადდა და ამ ხალხს მოესპო საშვალება ჩვეულებრივ წასულიყო საზღვარ გარეთ, შეიქნა ზრუნვა ადგილობრივ საგარაკო ადგილებზედ და მინერალურ წყლებზედ. აღმოჩნდა, რომ ამ გვარი ადგილები და წყლები რუსეთში და კავკასიაში არა ნაკლები ყოფილა, ვინემ მთელ დასავლეთს ევროპაში, მაგრამ ჩვენი აგარაკებით და წყლებით სარგებლობს მხოლოდ 400.000 ავადმყოფი, მაშინ როდესაც მარტო ერთი გერმანია აკმაყოფილებს მილიონზედ მეტს ხალხს, რომელთა რიცხვში რუსეთიდან წასული მეტი ურევია, ვინ მ სხვა ქვეყნებიდგან არის ისეთი საგარაკო ადგილები და წყლები. სადაც განსაკუთრებით რუსეთი ხალხი ეტანება და ამდიდრებს უცხო კურორტების პატრონებს.

ამის მიზეზების გამოკვლევას რომ შეუდგეთ, შორს წაგვიყვანს და ამისათვის ვიტყვი მოკლედ, რომ წესიერება ჩვენს სახელმწიფოში არაოდეს არავითარ საქმეში არ ყოფილა და მე მგონია, ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი ჩვენი ყოველგვარი ჩამორჩენილობის და უზრუნველობისა იმისთანა საჭირო საქმიანობაში, როგორც არის „კურორტების" მოწყობა და ზრუნვა ჩვენს სნეულ ხალხზედ. ამ ბოლო დროს, თუ ამაზედ ცოტაოდენი ლაპარაკი და ყრილობების მართვა დაიწყო, ეს მისთვის, რომ ამ უცნაურმა მსოფლიო ომმა დაგვავალა პატრონობა მეომარ ჯარის კაცთა, რომელთაც სახელმწიფო ვალდებულია აღმოუჩინოს ყოველ-გვარი საშვალება სამშობლოს დაცვის დროს დაკარგული ჯანმთელობის დაბრუნებაში.

სამწუხაროდ, ამ ზრუნვას მხოლოდ „სიეზდების'' წევრები იჩენენ და გარდა იმისა, რომ დამსწრე ხალხი ეცნობა, თუ სად რანაირი წყლებია, ანუ საგარაკო ადგილები, არავითარი სარგებლობა არ გამოდის ამ კრებებისაგან და ასეც უნდა იყოს, რადგან წევრებს მხოლოდ მოხსენებები მოაქვსთ კრებებზედ და არა ფული, რომელიც უმთავრესად არის საჭირო ,,კურორტების'' მოსაწყობათ მართალია, ამ კრებების დადგენილებით ზოგიერთი გამოქნილი პირი ხშირად სარგებლობდა, რომ მთავრობისათვის თავის სასარგებლოდ, საშვალება დაეტყუებია, როგორც მაგალითად, ბ. ვოეიკოვი, რომელიც თავის სრულიად უმნიშვნელო წყალს ,,კუვაკას'' ვაგონობით ჰგზავნიდა კუთხეში, მაშინ როდესაც საწყალი ჯარი მტრის პირდაპირ იდგა უთოფის-წამლოთ და უტყვიოთ და მტერს მხოლოდ ხიშტებით იგერიებდა, რადგან თავისუფალი ვაგონები არ მოიპოვებოდა საჭირო მასალის მოსატანად. ვისაც გაქნილობა არ ჰქონდა, იმას ვერაფერი ,,სიეზდის'' დადგენილება ვერ მოეხმარებოდა და მთავრობას რომ ცოტაოდენი ყურადღება კიდეც მიექცია, მაშინაც იმდენი მტრები გაუჩნდებოდა სასარგებლოთ ცნობილ წყლებს, რომ საბოლოოთ საქმე მაინც ჩაიფუშებოდა.

ამის მაგალითების ძებნა შორს არ გვეჭირვება, საკმარისია მკითხველს გავახსენოთ ჩვენი წყალტუბოს აბანოების ისტორია ამ სამი წლის განმავლობაში და დარწმუნდება, რომ არავითარ ღირსეულ, ნამდვილად ხალხისათვის სასარგებლო საქმეს ჩვენში გასავალი არ ქონია აქამდის და როდის ექნება, ეს კი ღმერთმა იცის.

1914 წელში, ომის გამოცხადების შემდეგ, როდესაც ბევრი პატივცემული პირი: პროფესორები, საზოგადო მოღვაწენი და, მგონია, მინისტრებიც მოემწყვდენ გერმანიაში, სადაც მათ თავი დაანებებიეს ექიმობას, რუსეთში აღიძრა კითხვა ახალი „კურორტების" და საგარაკო ადგილების მოწყობის შესახებ.

ამ საქმეს სათავეში დაუდგენ საუკეთესო რუსეთის მეცნიერნი, პროფესორები კაპიტალისტები და მიზნად დაისახეს, რომ ისე მოეწყოთ ძველი და ახალი სამკურნალო ადგილები, რომ ჩვენ არ დაგვჭირდებოდა საზღვარ გარეთ ექიმობა. ამ მიზნით დაინიშნა საყოველთაო კრება 7-ს იანვარს 1915 წელს პეტროგრადში და გაზეთებისა, ქალაქის თვითმართველობისა და ერობის საშვალებით გამოწვეულნი იყვნენ ყველანი, ვისაც ამ გვარი საქმე აინტერესებდა. ჩვენმა ქალაქის თვითმართველობამაც დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში იგი ხარჯსაც არ მორიდებია, რადგან თავის გვერდით ისეთი წყლები ეგულებოდა, როგორიც არის წყალტუბოს აბანოები.

ქუთაისის საბჭომ ერთ ხმათ ამირჩია და დამავალა ამ „სიეზდზე" პეტროგრადს წავსულიყავ და მოხსენება თან წამეღო წყალტუბოს წყლების შესახებ. მეც ავასრულე ეს მონდობილება. წავიკითხე ჩემი მოხსენება პლენარულ სხდომაზე (ეს მოხსენება ცალკეც არის დაბეჭდილი). სხდომამ ჩემი მოხსენების შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება: „წყალტუბოს მინერალური წყლები თავის ქიმიური შედგენილებით, „რადიოლოგიური" მოქმედებით, სითბოთი, და სიუხვით, რომელიც უდრის თითქმის ორ მ ლიონ „ვედრა" წყალს ოცდა ოთხს საათში, საუკეთესო სამკურნალო წყლებია, მათ აქვსთ საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობა და აუცილებლათ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ამ გადაწყვეტილების ძალით ბევრი ვეცადე, იმ პირებს, ვის ხელშიც მაშინ ამ გვარი საქმის მოწესრიგება იყო, წყალტუბოსთვის ყურადღება მიექციათ, მაგრამ არა გამივიდა რა, სანამ პროფესორ სერგეი ფედოროვს არ მივმართე, რომელმაც წყალტუბოს წყლებს გააცნო პრინცი ოლდენბურგი და გამოაგზავნინა კომისია, რომელშიც შედიოდენ შემდეგი პირები: პროფესორები კრილოვი, მიროტვორცევი, ლეიბ მედიკი რაკვი და თბილისის ქალაქის თავი ბ. ხატისოვი. ეს პირები ჩემი და ქალაქის თავის ბ. ჩიქოვანის დასწრებით იყვნენ წყალტუბოს აბანოზე, მეტის მეტათ მოიწონეს, როგორც წყლები, ისე მდებარეობა და გადაწყვიტეს მოეხსენებინათ პრინცისათვის, რომ იმ წელიწადშივე, ესე იგი 1915-ში აეშენებინათ იქ ბარაკები ორი ათასი ავათმყოფის მოსათავსებლად, გაეყვანათ გზატკეცილი და წყლები ბ.ბ. იოსელიანებისაგან იჯარით აეღოთ.

შედგენილ იყო ქუთაისში პლანი და ხარჯთ აღრიცხვა ქუთაისის გუბერნატორის თანადასწრებით. როგორც აღმოჩნდა ამას სულ 250.000 მანეთი ეჭირვება და თბილისში ხელმეორეთ გაირჩა ეს დადგენილება და იქ კიდევ ასი ათასი მანეთი მოუმატეს, რომ დროზედ შედგომოდენ საქმეს და რიგიანად მოეწესრიგებიათ იგი.

ბ. ხატისოვი ქუთაისში ყველაფერს ეთანხმებოდა და უარს არ ამბობდა ამ წყლებზედ. მხოლოდ როდესაც მეორეთ გარჩევას შეუდგენ თბილისში და ხარჯთ აღრიცხვასაც მოუმატეს ასი ათასი მანეთი, მაშინ კი ამოიღო ხმა და წინადადება მისცა კომისიის წევრებს ამ დიდ ხარჯს ნუ მოვახდენთო. მან განაცხადა მე შემიძლია, ავათმყოფების მოთხოვნილება სამკურნალო წყლებისა თბილისის აბანოებით დავაკმაყოფილოვო თბილისის აბანოები მოწყობილიც არიან, ტრამვაით შეერთებულია ბარაკებთან, სადაც ოცდა ათი ათასი კაცი ეტევა. ხატისოვი ითხოვდა წყალტუბოსთვის დაენებებიათ თავი. პროფესორმა ბიროტვორცევმა და სხვებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ბ. ხატისოვს და დაუმტკიცეს, რომ თბილისის აბანოები არც მინერალური წყლებია და არც რადი მოიძებნება მაშიო; მაგრამ ხატისომა მაინც თავისი გაიტანა და პრინცს თავისი მოსაზრება გაუგზავნა პეტროგრადში.

ამ მიწერ-მოწერაში გვარიანი ძალი დროგავიდა და როდესაც ბ. ხატისოვმა პრინცის დეპეში მიიღო, მე სრულიად არა მეინტერესება თბილისის აბანოებიო ამ დროს ისეთი საქმე მოხდა, რამაც აბანოების კითხვა ძალიან შორს იმ პირთ, რომელიც მიწოდება ჯარისათვის, სრული ღალატი და უმოქმედება აღმოაჩნდათ მაშინ გადაწყდა, რომ ყოველიფრისთვის დაენებებიათ თავი და მხოლოდ — იარაღი და ტყვიის-წამალი, გამხდარიყო პირველ საზრუნველ საქმედ სახელმწიფოში. ამ რიგად წყალტუბოს ბედი გადაწყდა დროის გაჭიანურებით და საქმის გაუთავებლობით, თითქმის გადაწყვეტილი საქმე წყალტუბოში საავათმყოფოს მოწყობისა და აგრეთვე გზატკეცილის გაყვანის შესახებ, რომელმაც ასე უზომოდ შეხაროდა ქალაქის საბჭო და მთელი ქუთაისის

მერში ვერ იბეჭდება ი. ხ—ლის წერილის გაგრძელება ქართველ ისრაელთა შესახებ. გაგრძელება დაისტამბება შემდეგ ნომერში.

◆ **ჯარის კაცების თხოვნა.** კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ ქუჩ. გაზეთებით მოვაჭრე ჯ. კ მელ ასლანიკაშვილი მოუწოდებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ გადასცენ მას ზედმეტი, წაკითხული ჟურნალ-გაზეთები ბრძოლის ველზე მყოფ ჯარის კაცთათვის გასაგზავნათ. გასაგზავნათ მიიღება აგრეთვე სხვადასხვა ქართული წიგნაკები.

◆ **ცეცხლი.** აგვისტოს 13-ს ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომის გვერდით ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა ერთი სარდაფი. ზარალი დიდია, ცეცხლმა შთანთქა სურსათი და სხვადასხვა ავეჯეულობა. აგვისტოს 11-ცეცხლი გაუჩნდა მეიერის სახლს და დაიწვა ხის ნაწილი.

◆ **ქურდობა.** აგვისტოს 12-ს ღამით თბილისის ქუჩაზე ქურდები შეიპარნენ გრიგოლ ბარათაშვილის ეზოში და გასტეხეს სარდაფი. ქურდებმა წაღება რაიმესი ვერ მოასწრეს.

◆ **სამამულო კომიტეტი.** ქუთაისში დაარსდა სამამულო კომიტეტი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ: ქალაქის თვითმართველობის, ოლქის სასამართლოს, მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები. სამამულო კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია ბ-ნი **გრიგოლ ურატაძე**. ამავე კომიტეტში ორ-ორ კაცს გამოგზავნიან მაზრის კომიტეტები.

— **ტყვიბულის მაღაროები.** ტყვიბულის ქვანახშირის დამუშავების გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლათ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა საგანგებო კომისია გამოგზავნა.

◆ **შეშის სიძვირე.** ჯერ ზამთარი არ არის მოახლოვებული, მაგრამ ადგილობრივ საწყობებში უკვე ასწიეს ფასები შეშაზე. ცუდ დაწყობილ შეშას კუბიკურ საჟენს 200—250 მანეთად უპირებენ გაყიდვას.

◆ **პროვაკატორის აღმოჩენა.** ქ. ხონის აღმასრულებელი კომიტეტი იტყობინება რომ ქ. სვეაგიორგში (ფინეთი) აღმოუჩენიათ ხონის მცხოვრები ერ. ჭავჭიანიძე. რომელიც თანამშრომლობდა დამცველ განყოფილებაში ოხრანკაში და ცნობებს აწვდიდა სოც-დების ცხოვრებიდან.

◆ **კრების გადადება.** კვირას, ამა თვის 13-ს, მოხდა ქუთაისის საოლქო სახელმწიფოს დაწესებულებათა მოხელეების კრება, ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობაში. ვინაიდგან კრება მცირე რიცხოვანი გამოდგა, იგი 27 აგვისტოსათვის გადაიდვა. განსახილველია სხვათა შორის კითხვა: მოხელეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ კითხვასთან დაკავშირებული კითხვა მოხელეთა გაფიცვისა.

პროვინცია.

ქ. ზესტაფონი. სალიტერატორო საღამო. კვირას აგვისტოს 6, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში ახალგაზრდა მწერალმა რ. გვეტაძემ თავის სასარგებლოდ ავადმყოფობის გამო სალიტერატორო საღამო გამართა. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. ახალგაზდა სცენის მოყვარეებმა ითამაშეს ვოდევილები: „ოინბაზი“ და „მე მოვკვდი.“ როლებს კარგათ ასრულებდენ. ლიტერატურულს განყოფილებაში ლექსები წაიკითხეს მგოსნებმა გ. ქუჩიშვილმა ლადო მაჭავარიანმა და საღამოს მომწყობმა რ. გვეტაძემ. საკუთარი მოთხრობა წაიკითხა აგრეთვე კოლა ოქროპირიძემ, საღამომ ხალხზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა

◆ **ლექცია** წარსულს დღეებში ლექცია წაიკითხა ონიაშვილმა: „ნაციონალური კითხვა ჩვენში“. ხალხი საკმაოდ დაესწრო. მოკამათეთ გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატი მ. ციცქიშვილი აღნიშნა მომხსენებლის მრავალი შეცდომანი. ლექცია საერთოდ დამაკმაყოფილებელი ვერ გამოდგა.

◆ **ლექცია ია ეკალაძისა.** ცნობილმა მწერალმა ია ეკალაძემ წაიკითხა ლექცია ხუთშაბათს აგვისტოს 10 „ჩვენი პარტიები და ჩვენი ქვეყანა“ ხალხი ბლომათ დაესწრო. საკამათოდ არავინ გამოსულა.

◆ **სანოვაგის სიძვირე.** სანოვაგის სიძვირის გამო მცხოვრებლები კვლავ შევიწროვებულნი არიან. სოფლებიდან სიმინდის საყიდლად მრავალი ხალხი აწყდება ქალაქს

◆ **სოფ. კვალითი.** კვირას 6 მარიამობისთვეს სოფელ კვალითში გაიხსნა კოოპერატიული დუქანი.

◆ კვირას, მარიამობისთვის, 6 გიორგი ციცქიშვილმა კვალითის მცხოვრებთ კრებაზე გააცნო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა. ხალხი კმაყოფილი დარჩა ორატორის გულწრფელი მოხსენებითა და შესანიშნავი მჭერმეტყველობით.

◆ **მოსავალი.** მოსავალს კარგი პირი უჩანს, განსაკუთრებით სიმინდსა და ყურძნის მოსავალი დიდს იმედებს იძლევა.

◆ **იარაღის დაჭერა.** წარსულს დღეებში ბათუმიდან მომავალ მატარებელში აღმოაჩინეს იარაღი: რამოდენიმე ვინტოვკა, მაუზერები და ტყვიები. იარაღის მქონენი აღმოჩნდენ სომხები, რომელნიც დაატუსაღეს და ადგილობრივ სატუსაღოში მოათავსეს.

◆ **ს. საზანო** ამას წინათ გაძარცვეს პეტრე პავლეს ძე ჭანტურიძე, ეჭვით შეიპყრეს ას. ჭანკვეტაძე.

ოთხშაბათს 16 აგვისტოს საღამოს 6 საათზე,

რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება მოსწავლე ახალგაზრდობის (განურჩევლათ სქესისა)

საზოგადო კრება.

კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს **ნ. ლორთქიფანიძე**. მოხსენების შემდეგ გაირჩევა სხვა და სხვა საყურადღებო საკითხები. კრებაზე დასწრება ყველასთვის **სავალდებულოა**.

მოწაფეთა პრეზიდიუმი.

ამიერ კავკასიის საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნა.

დაახლოებით ამ ერთი თვის წინად გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ პეტროგრადში შესდგა საგანგებო თათბირი ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნის პროექტის განსახილველად.

გაზ. „ერთობის“ ცნობით თათბირის მუშაობა თითქმის დამთავრებულია.

თათბირს დასწრებიან კავკასიის ერთა ის წარმომადგენლები, რომელნიც დამფუძნებელ კრების კომისიაში მონაწილეობის მისაღებად იყვნენ გაწვეულნი.

თათბირზე წაკითხულ მოხსენებების მიხედვით შეუდგენიათ ასეთი პროექტი:

ელისავეტპოლის გუბერნია ორ ნაწილათ იყოფა: მთა-გორიანი, სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი, სადაც 419 ათასი სული სომხობა ცხოვრობს და მტკვრისა და არაქსის დაბლობი ადგილები, სადაც 797 ათასი სული მუსულმანი ცხოვრობს. ასევე განიყოფებიან მცხოვრებნი ეროვნების მიხედვით: ერევნის გუბერნიაში—სომხობა 670 ათასი სული ცხოვრობს, მუსულმანობა—410 ათასი. აქ სომხობა უმრავლესობას შეადგენს შვიდი მაზრიდან მხოლოდ სამში, მაგრამ სამინისტროს აზრით ერევნის გუბერნიას შეიძლება შეუერთდეს ყარსის ოლქის ორი აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც სომხობა უმრავლესობას შეადგენენ. თფილ. გუბ. ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ნაწილები, სადაც სომხობა აგრეთვე უმრავლესობას შეადგენს. ამ შემთხვევაში გადამიჯვნა ეხება ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებს, ყარსის ოლქს და თფილისის გუბერნიის ორ მაზრას. თუ ზემო-ნათქვამი დებულებები საქმეში იქნება მიღებული, გადამიჯვნა ასე უნდა მოხდეს: 1. უნდა შედგეს განსაკუთრებული ალექსანდროპოლის გუბერნია ორ-ნაწილად: ელისავეტპოლის და განძაკის; 2. უნდა შედგეს განსაკუთრებული ალექსანდროპოლის გუბერნია, რომელშიაც შევა ყარსის ოლქის ორი ნაწილი, თფილისის გუბერნიის ორი მაზრის ნაწილები და ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრის ერთი ნაწილი: 3. ამის შემდეგ ერევნის გუბერნია უცვლელად რჩება: 4. ყარსის ოლქის ორი ნაწილი, რომელიც ალექსანდროპოლის გუბერნიის ნაწილში არ შესულა, უნდა შეუერთდეს ბათომის ოლქს, ან თუ ეს მოუხერხებელი იქნება, ალექსანდროპოლის გუბერნიის თვით ქალაქი ელისავეტპოლი ორნაწილად უნდა გაიყოს: სომხების ნაწილი, რომელშიაც 20,000 სომხობა სცხოვრობს და თათრების,—რომელშიაც 40 ათასი სული ცხოვრობს. ამნაირი გადაჯგუფება-გადამიჯვნის შემდეგ განძაკის გუბერნიაში იქნება სომხობა 366 ათასი სული, თათრობა 134 ათასი, სხვა ერები 28 ათასი სული, ელისავეტპოლის გუბერნიაში—სომხობა 53 ათასი, თათრობა—663 სული; სხვა ერები 31 ათასი სული; ალექსანდროპოლის გუბერნიაში სომ-სომხობა—474 სული, თათრობა 121 ათასი და სხვა ერები 124 ათასი სული; ერევნის გუბერნიაში სომხობა 459 ათასი, თათრობა 881 ათასი, სხვა ერები 26 ათასი. ერევნის გუბერნიის დანარჩენ ტერიტორიაზე დარჩება 860 ათასი სული მცხოვრები, რიცხვით თანასწორი—თათრობა და სომხობა აქ ჩვენ მოვიყვანეთ მოკლეთ მოხსენების ადგილები. მოხსენებაში რა თქმა უნდა, დასაბუთებულია ყველაფერი, თავისებურათ, ჩამოთვლილია რომელ გუბერნიაში რა და რა მაზრები შევლენ, რა და რა სოფლები, მათი ეკონომიური კულტურული და სხვა გამოკვლევანი.

მოხსენების აზრით ზოგიერთი ცვლილებები სხვა გუბერნიების საზღვრების გასწორებასაც უნდა შეეხოს, მაგრამ ამას მცირე მნიშვნელობა აქვსო, მაგ. შესაძლებელი ყოფილა გორის, დუშეთის და თიანეთის და რაჭის მაზრების ნაწილების გამოყოფვა, რომლებიც მთიულებით ყოფილა დასახლებული და თერგის ოლქთან შეერთება, მაგრამ ამის შესახებ კონკრეტიული მასალები არ ჰქონია სამინისტროს და ამიტო გადაჭრით არას ამბობს. დაბოლოს მიზნის შესაფერად მიაჩნიათ სოხუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიაზე შეერთება, საზღვარი იქნება გაგრა.

დანარჩენ ადგილებს მოხსენება გადაუმიჯნავათ სტოვებს. დასკვნა ასეთი გამოჰყავთ:

ასეთი გადამიჯვნა კავკასიაში ერთნაირ ნაციონალურ თანასწორობას ჰქმნის თურმე, რაც მიზნის შესაფერი ყოფილა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი თვალსაზრისით—ადგილობრივი თვითმართველობათა და სასამართლოთა მოწყობის საქმეში, ამის შემდეგ **ქართველები** შეადგენენ დიდ უმრავლესობას ორ გუბერნიაში: თფილ. 1.3000 ათას სულს, ქუთაისში—1200 ათას სულს, **თათრები** ბაქოში 1.500 ათას სულს, ელისავეტპოლისაში 750 ათასს და დაღესტანის ოლქში 80 ათასს. სომხები უმრავლესობას შეადგენენ ორ ახალ გამოჩეკილ გუბერნიაში: განძასაში 530 ათასს და ალექსანდროპოლსაში 720 ათასს სულს.

ინსტრუქცია უკრაინის გენერალურ სეკრეტარიატს.

დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა შემდეგი დროებითი ინსტრუქცია უკრაინის გენერალ სეკრეტარიატისათვის სახელმძღვანელოთ.

1) სანამ დამფუძნებელი კრება ადგილობრივ მართვა-გამგეობის კითხვას გადაწყვეტდეს, დროებით მთავრობის უმაღლეს ორგანოდ, უკრაინის ადგილობრივ საქმეების მოსაგვარებლად, ითვლება გენერალური სეკრეტარიატი, რომელსაც დროებითი მთავრობა ცენტრალ რადის წარდგენით ნიშნავს.

2) გენერალურ სეკრეტარიატის უფლება ვრცელდება კიევისა, ვოლინისა, პოდოლისა, პოლტავისა და ჩერნიგოვის გუბერნიებზე მგლინისა, სურაჟისა, სტაროდუბისა და ნოვოზიბკოვსკის მაზრების გამოკლებით. უფლების გაფართოება შეიძლება. სხვა გუბერნიებსა და მათ ნაწილებზე, თუ კი ამ გუბერნიებში დროებით მთავრობის დადგენილებათა თანახმად შემდგარი საერობო დაწესებულებანი უფლების ასე გაფართოების თანახმანი იქნებიან.

3) გენერალური სეკრეტარიატი შესდგება შინაგან საქმეთა, ფინანსთა, მიწის მოქმედებისა, განათლებისა, შრომისა და ვაჭრობა მრეწველობის საუწყებათა სეკრეტრებისაგან (მდივნებისაგან), აგრეთვე ეროვნულ კითხვათა მდივნისა და გენერალურ მწერლისაგან. გენერალურ სეკრეტარიატს მეთვალყურეობს კანტროლიორი, რომელიც გენერალ-სეკრეტარიატის სხდომებზე მონაწილეობს გადამწყვეტი ხმით.

სეკრეტრები, ოთხის გარდა უნდა შეიცვალონ ისეთ პირებით, რომელიც უკრაინულ ეროვნების არ არიან.

ეროვნულ საქმეთა სეკრეტართან (მდივანთან) სამი სხვა თანამდებობაც არსებობს: მდივნის ამხანაგისა, რათა უკრაინის ყველა უფრო მრავალრიცხოვან ეროვნებათ ყავდეთ თავისი წარმომადგენელი ან მდივნისა ან მის ამხანაგის სახით.

4) გენერალურმა სეკრეტარიატმა უნდა შეიმუშავოს და დროებით მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს მოსაზრებანი შესახებ მთელი მხარის ცხოვრებისა და მართვა-გამგეობისა. ეს მოსაზრებანი მათი დროებით მთავრობასთან წარდგენამდე შეიძლება განხილულ იქნეს ცენტრალ რადის მიერ.

5) დროებით მთავრობის რწმუნებულობას ადგილობრივ მართველობის საქმეებში, რომელნიც კი შედიან მე-3-ე სტატიაში ჩამოთვლილ საუწყებათა კომპეტენციაში, ანხორციელებენ გენერალური მდივნები. ამ საქმეთა უახლოესი განმარტება ცალკე დამატებათ გამოვა.

6) ყველა იმ საქმეებისა გამო, რომელნიც ზემოდ არის ჩამოთვლილი, მხარის უფლების წარმომადგენელნი მიმართვენ გენერალურ სეკრეტარიატს, რომელიც დროებით მთავრობასთან მორიგების შემდეგ, ამ უკანასკნელის განკარგულებასა და დარიგებას ადგილობრივ მთავრობის პირთ გადასცემს.

7) გენერალური სეკრეტარიატი ასახელებს კანდიდატებს მთავრობის თანამდებობაზე, რომელთა საქმეები განისაზღვრება მე 5 სტატიაში მოყვანილ უფლებებით. კანდიდატები იცვლებიან დროებით მთავრობის დანიშვნით.

8) უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო სამოქალაქო საუწყებათა დამოკიდებულებისთვის სეკრეტარიატთანა და ცალკე მდივნებთან, აგრეთვე უკანასკნელთა დამოკიდებულებისათვის უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა და საუწყე-

---

მცხოვრებლები, ამ ზევითმოყვანილი უბრალო კინკლაობის გამო ჩაიფუშა და ყველასათვის დიდათ სასარგებლო საქმის დაბოლოება შეჩერდა 1916-ს წლისა ივნისის თავიდგან. ამდენმა შრომამ ხარჯმა და მეცადინეობა თითქმის ფუჭად ჩაიარა და დღევანდელი მდგომარეობა ამ საუცხოვო წყობის ისეთივეა როგორიც 1914 წლამდის იყო.

მართალია, წყალტუბოს წყლების ამბავი შეიტყო ყველამ ვისაც კი ამ გვარი საქმე აინტერესებდა; ამის დასამტკიცებლად ისეც კმარა, რომ ეხლა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდგან მოდიან ჩვენსკენ საექიმოდ და დიდი კმაყოფილნიც რჩებიან წყლების თვისებით, მაგრამ ბევრსაც გვაგინებენ, რომ ეს სამაგალითო წყლები ასე ბინძურად, უგზოთ და უპატრონოდ არის მიტოვებული. ყოველსავე ამას ჩვენს ჩამორჩენილობას, განუვითარებლობას და აზიურ დაუდევრობას აწერენ, რაც უნდა სთქვან ჩვენზედ, ღირსი ვართ ერთის მხრით!

მეორეს მხრით გასამართლებელი საბუთებიც გვაქვს და მე მინდა გავაცნო მკითხველი ამ საბუთებს, რომელთა მოყვანა ამ წერილში საჭიროდ მიმაჩნია. უპირველეს ყოვლისა უნდა ვსთქვა, რომ ეს სამაგალითო წყლები ეკუთვნის ბევრს მეპატრონეებს და სწორეთ ეს არის დამაბრკოლებელი მიზეზი ამ წყლების ცუდი მდგომარეობისა. შემთხვევით ეს წყლები ჩავარდნიათ ხელში ბ.ბ. იოსელიანებს, საზოგადოთ ღარიბ ხალხს, რომელთაც არც საშვალება და არც იმდენი უნარი აქვთ, რომ საქმე დაადგინონ იმ რიგათ, როგორც ამას მოითხოვს ეხლანდელი შეხედულობა მეცნიერებისა „ბალნეოლოგიური სტანციების“ მოწყობის შესახებ. დიდ უბედურობად უნდა ჩავსთვალოთ, რომ ეს წყლები კერძო პირების ხელშია და არა რომელიმე საზოგადო დაწესებულებისა, რომელსაც ყოველთვის შეეძლო ამ გვარი ბევრად უკეთესად მოწყობა და მთელი ხალხისათვისაც დიდი სარგებლობის მიტანა. მართალია, ამ ბოლო დრომდის წყლები თითქმის არც იყო რიგიანად გამოკვლეული, მაგრამ მაინც ბევრი იმისთანა პირები გამოჩნდნენ რუსეთში და სამზღვარ გარედ რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ ეს წყლები ხელში ჩაეგდოთ და მოეწყოთ ისე, როგორც ეკადრებოდა ამ დიდათ მნიშვნელოვან სამკურნალო წყლებს. ეს პირები როგორც კი გაეცნობოდენ საქმის მდგომარეობას, მაშინვე თავს ანებებდენ მას, რადგანაც წყლები ეკუთვნის იმდენ პირს რომ მათი ერთად შეკრება და შეთანხმება მათ შორის ყოვლად შეუძლებელია. ამის დასამტკიცებლად საკმაოა გავიხსენოთ, რომ, სანამ ქალაქის საბჭოს მინდობილებით პეტროგრადში „სიეზდზედ“ წავიდოდი, მოვიწვიე ბ. ბ. იოსელიანები და სხვებიც, ვინც ამ წლებში მონაწილეობს, ქალაქის თავისა და ბევრი სხვა საზოგადო მოღვაწე პირებისა დასწრებით შავი ქვის გამგეობის დარბაზში მოსალაპარაკებლად გამოცხადდა ასიოდე კაცი. ჩვენი აზრი იყო, რომ მოვრიგებოდით მათ რამენაირათ ფასში, მოგვეხერხებია ამ წყლების გამოყიდვა ქალაქის სასარგებლოდ და ამ რიგათ საქმისათვის მუნიციპალური ხასიათი მიგვეცა, დრო იყო იმნაირი, რომ მთავრობის შემწეობით შეგვეძლო სესხი აგველო და ეს დიდ მნიშვნელოვანი წყლები შესაფერისად მოგვეწყო, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ ცხადათ დაგვიმტკიცა, რომ წყლების პატრონებთა მაგ გვარი საქმის მოხერხება შეუძლებელი იყო. ითხოვეს სამი დღე ერთმანეთში შეთანხმებისათვის და როდესაც მობრძანდენ მეორეთ, გამოგვიცხადეს, მარტო წყლებს შვიდ მილიონ ნახევრად ვაფასებთ და ამაზედ ნაკლებ არასოდეს არ დავთანხმდებითო. რასაკვირველია, ამის შემდეგ ჩვენ მოვსპეთ მათთან ბაასი, ვინაიდგან დავკარგეთ ყოველივე იმედი საქმის ნებაყოფლობით გათავებისა. ამას შემდეგ დაიბადა ის აზრი, რომ გვეთხოვა მთავრობისათვის ძალა დაეტანებია და გამოესყიდა ეს წყლები ქალაქის გადასაცემად და მეც ამ გვარი მოხსენება მოვამზადე პეტროგრადის საგანგებო კრებაზედ წასაკითხავად. მოხსენებაში წყლების გამოკვლევისა გარდა მოვათავსე შემდეგი მუხლები: 1. წყალტუბოს აბანოების მოწყობილობა წარმოუდგენლად ცუდია: მას არა აქვს გზა, არც, არავითარი სანიტარული დაწესებულება აქ არარის, არაა სასტუმროები, არც ისეთი სახლები, რომ ავათმყოფი დაბინავდეს, არაა მოწყობილი "ვანები" საბანავებლათ და მათ ადგილს ასრულებენ უსუფთაო „ბასსეინები“ საუზებია რომელშიდაც ყველა ერთად ბანაობს საზოგადოთ ეს აბანოები მოკლებული არიან ყოველ გვარ მოწყობილებას ელემენტალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რაც მიუცილებელი საჭიროა ყოველის ავათმყოფისათვის.

2. ასეთი საუცხოვო წყლების ამგვარად დატოვება პირდაპირ დანაშაულობაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, მეტადრე ახლა, როდესაც ჩვენს ჯარის კაცებს აქ შეუძლიათ მიიღონ განკურნება ამ წყლების საშვალებით.

3. საჭიროა რომ წყალტუბოს აბანოები იყოს ნაცნობი სამეცნიერო დაწესებულებისაგან ისეთ წყლებად, რომელთაც აქვსთ საზოგადოებრივი და სახელმწიფოური მნიშვნელობა, რის გამო ეხლავე უნდა შეუდგეთ მათ რიგიან მოწყობას.

4. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ეს **აბანოები გადაეცეს ქუთაისის თვითმართველობას**, რომელმაც დაუყონებლივ უნდა შეიმუშავოს პროექტი მათი მოწყობისა იმ პირობით, რომ მას მიეცეს უფლება ამ აბანოებისა, და აგრეთვე „კურორტის“ მოსაწყობათ საკმარისი მიწების ძალდატანებით ჩამორთმევისა. ამის აღსასრულებლად დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ ქალაქის თვითმართველობას მთავრობამ მისცეს უსარგებლოთ საკმარისი ფული და აღმოუჩინოს მას ყოველგვარი დახმარება წყლების მოსაწყობად.

ექიმი **დ. ნაზაროვი.**

ბოებთან დროებითი მთავრობა ნიშნავს პეტროგრადში უკრაინის საქმეთა კომისარს. ამავე წესით იგზავნება და მეორდება კანონმდებლობითი მოსაზრებანი და პროექტები, რომელნიც მხოლოდ უკრაინის ადგილობრივ საქმეებს შეეხებიან, ისევე როგორც საერთო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზომები, რომელნიც ცალკე საუწყებოებში აღიძვრენდენ ანდა რომელნიც განირჩევიან საუწყებათაშორისო და საუწყებო კომისიათა მიერ და უკრაინასთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გამომოითხოვენ ზემო-აღნიშნულ კომისიებში წარმომადგენლის მნიშვნელობას.

9) გადაუდებელ და საჩქარო საქმეების დროს უმაღლესი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი და საუწყებონი თავის გადაწყვეტილებას ადგილობრივ მთავრობის პირით აცნობებენ, მაგრამ ამასთანავე ყოველივეს აცნობებენ გენერალურ სეკრეტარიატს.

მინისტრთა თავმჯდომარე **ა. ვ. კერენსკი.**
სამართლის მინისტრი **ზარუდნი**
პეტროგრადი 4 აგვისტო. 1917 წ.

ღალატი მწიგნობრობის საქმეში.

(ქუთათურ მწიგნობრის თავგადასავლიდან).

მე-15-ე წელიწადია ქუთაისსა და მის მახლობელ დაბა-სოფლებში ჟურნალ-გაზეთების, ბეჭდითი სიტყვის გავრცელების საქმეზე ვმუშაობ ყოველივე ჩემი ძალღონის დაუზოგველათ. ამ ხნის განმავლობაში საკმაოთ დავხელოვნდი ამ კულტურულ საზოგადოებრივ საქმის წარმოებაში და რაკი ბედმა ქუთაისში ცხოვრება მარგუნა, მიზნათ დავისახე იმერეთის ამ კულტურულ ცენტრში, სადაც ბეჭდითი სიტყვას ასეთი გასავალი აქვს, შემექმნა სამაგალითო ორგანიზაცია მისი გავრცელებისათვის და მომეწესრიგებინა მისი პრაქტიკული წარმოება.

იმ დღიდან დღემდი ამისათვის არ დამიზოგავს ჩემი არც ინტელექტუალური და არც მცირე ნივთიერი ძალღონე. რაკი ხელმოკლე ადამიანისათვის ამ ფართო საქმის მოწესრიგება მარტო შეუძლებელი იყო ნივთიერის მხრით, ვცდილობდი მისთვის გარეშე ხელის შემწყობი აღმომეჩინა რასაკვირველია, საქველმოქმედო მიზნით; მოგების, შეძენის ინტერესით კი ამით ვერავის მოვხიბლავდი, რადგან დავრწმუნდი, რომ იგი პროვინციელ აგენტს, ბეჭდითი სიტყვის პიონერს საშვალოთ თავის რჩენის მეტს არას უქადის. და რაკი დღემდი დამხმარე ამ მხრით ვერავინ ვიჩინე, ამისათვის განზრახულ ფართო მიზანსაც ვერ მივაღწიე, მისი ფართო ორგანიზაცია ვერ განვახორციელე.

ხოლო რაც დავიწყე და ვაკეთებდი, ამაშიც ხელის შემშლელნი, დამაბრკოლებელი მიზეზები ბევრისაგან ბევრი შემხვდა და წინ გადამეღობა ჩემ საქმიანობაში, მაგრამ ამაზე სხვა დროს და ახლა კი მინდა მკითხველს მოუთხრო და მიუთითო ქუთაისში პრესის გავრცელების დღევანდელ მდგომარეობაზე, მის დაბრკოლებათა შესახებ, რაც ყოველ მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს.

როგორც ყველამ კარგათ იცის ჩემ კანტორა „იმერეთს" გარდა ადგილობრივ და თფილისის ყველანაირ გამოცემებისა, მოსდის სატახტო უფრო გავრცელებული ჟურნალ-გაზეთები. მათი მიღება ძველათ 1905 წლიდან გაადვილებული იყო. ამისათვის საჭირო იყო: 1. **ნაცნობობა** რედაქციებისა და მათი კონტრაგენტების და აქედან გამომდინარე 2, **ნდობა. 3, სწორი, ნემეცურათ ანგარიშების წარმოება. მათთვის ფულების თავთავის დროზე გზავნა.** ისინიც ამის მიხედვით მიგზავნიდენ სატახტო ყველანაირ გამოცემებს საკომისიოთ. 1905 წლიდან სარევოლუციო პერიოდული გამოცემებიც ბევრი მომდიოდა და ლიტერატურაც აუარებელი, რომლებსაც ვავრცელებდი თითქმის მთელ იმერეთში.

ეს ფაქტი შემდეგ წლებში რეაქციას, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დაურჩა და სხვათა სარევოლუციო მუშაობასთან ერთათ, მეც მრავალჯერ ხელი შემიშალეს ჩემ კულტურულ მუშაობაში ციხეში ჩამ წყვდევით ჩვენებურ დანოსების წყალობით...

მაგრამ არა ნაკლებ მაინც უკულტურო ბრძოლას ეწეოდენ იმ თავიდან დღემდე ჩემი კანტორის წინააღმდეგ ჩემი მეგაზეთეები ზოგჯერ თავიანთი ინიციატივით და ზოგჯერაც სხვა გარეშე პირების წაქეზებით. მათგან მოყენებული ვნება ბევრისგან ბევრი მახსოვს როგორც ნივთიერათ, ისე მორალურათ. ზოგჯერ არც ფიზიკურათ დაუზოგივართ. ამის ფაქტები იმ დროინდელ გაზეთებში ბევრია.

ასეთი ტანჯვა-ვაებით საქმიანობა მიუძღოდა წინ ამ ჩემ საგულდაგულოთ ნაზარდ კანტორას.

ასე იყო თუ ისე მას ამ სანატრელ თავისუფლებამდე მოვაღწიე. ვფიქრობდი და ვმხნეობდი, რომ აწი მაინც წამომეწევა ცხოვრების უკეთესი პირობები და ჩემ ამ საქმეში შრომის მოყვარეობას დღეიდან მაინც გავაშლევინებ ფრთებს, ამ საქმეს გაცილებით უკეთ მოვაწყობ, დასვენებით ვიმუშავებ და როცა მის წარმოებას ვეღარ შევძლებ ამ მოწყობილ საქმეს შესაფერ დაწესებულებას, ორგანიზაციას გადავცემ და კერძო კაცს კი გროშებით დაინტერესებულს მას არ დაუთმობთქო.

აი ამის ფიქრსა და ცდაში ვიყავი, ამისათვის ახალნაირ შესაფერ გეგმას ვიმუშავებდი, რომ ამ ორი კვირის წინეთ ერთი ჩემი ძველი მეგაზეთეგანი ხელახლა ამიტყდა და ამ საქმეში ჩაყენებულმა დღეს მიღალატა.

ამ სამიოდე წლის წინეთ, უკანასკნელათ რომ ციხეს თავი დავახწიე, რაკი კერძო კონტრაგენტისაგან სატახტო გამოცემების გამოწერა თანისთან უარესდებოდა, გადავწყვიტე ამელო ქუთაისის სადგურზე წიგნის შკაფი, რომლის საშვალებითაც მინდოდა სატახტო გაზეთების, რათა მკითხველ საზოგადოებას იგი შეუწყვეტლივ ქონდა.

ორ წელიწადს ვსდიე ამ საქმეს თფილისსა და პეტროგრადში, სადაც ჩვენი დეპუტატებიც კი ჩავრიე საქმეში და ბოლოს აგერ 1916 წ. მაისში როგორც იქმნა მოეწყო ამ შკაფის ჩემთვის გადმოცემა. ამით, რასაკვირველია, სატახტო გაზეთებს კანტორაში მიღება გავიადვილე; ხოლო რა კი მარტოხელი ვიყავი და ჩემგვარათ ამ საქმეში გამობრძმედილი ვერვინ ვიშოვე სადგურზე შკაფის საწარმოებლათ, იძულებული გავხდი ნახევარი წლის თავზე შკაფი თავის შემოსავლით ოფიციალურათ გადამეცა მისთვის, ვინც მანამდე მაზედ ფაქტიურათ მუშაობდა და ყოველივეს ბატონ პატრონი თითონ იყო. ეს არის ჩემ კანტორაში 7—8 წელიწადს ნამუშევარი მეგაზეთე მინა ტყაბლაძე.

მაზედ შკაფის გადაცემის შემდეგ ავათ იყო თუ კარგათ იგი 6—7 თვეს თავდაპირვანდელ პირობებში მუშაობდა და თუმცა ბუზღუნით, მაგრამ სატახტო გაზეთებს მაინც მაძლევდა და მეც სამაგიეროთ ანგარიშებს უსწორებდი, სუვორინის საკონტრაგენტოსთან მიწერ-მოწერას ვაწარმოებდი, როგორი პირობაც გვქონდა, დადებული სუვორონის რწმუნებულ ს. ნასყიდოვთან. ხოლო შავათ დაწერილი ეს პირობა რომ გადავათეთრე მაზედ მერე ტყაბლაძემ ხელი აღარ მოაწერა და როგორც ახლა გამოიყვა. ჩემი საქმის ღალატი მას იმთავიდანვე ქონდა გულში ჩამარხული.

შემდეგ მოვესწარით თუ არა რევოლუციას და გაზეთების ტირაჟმაც იმატა, ჩემ იდუმალ მოღალატეს ფულის ბლომათ მოხვეჭის მადა ძალზე აღეძრა და ნელ ნელა უკლო სატახტო უფრო საჭირო გაზეთების კანტორაში გზავნას, მაგ. თავიდან არ მიგზავნიდა არც ერთ ცალს „Правда", რომლისათვისაც ამ გაზეთის მიმდევრებში უსაფუძვლო ეჭვები დაიბადა, თითქოს მე ამ გაზეთის გავრცელებას ხელს ვუშლიდი.

გარდა ამისა ცოტას მიგზავნიდა და ბოლოს სულ მოსპო სოციალ-დემოკრატიული დიდი გამოცემა „Новая жизнь" და ესერების „Дѣло Народа", რომლების კანტორაში უქონლობა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და იწვევს დღესაც რუსეთის რევოლუციის მატრიალებელ პარტიულ ორგანოების მკითხველებისაგან.

საერთოთ მწიგნობრობის, ბეჭდითი სიტყვის ავ-კარგის უვიცი და უცოდინარი ტყაბლაძე ამ ახლო ხანებში მაინც, ვითომდა პრაქტიკულის მოსაზრებით იმ დასკვნას დადგა, რომ პარტიული, სოციალისტური გაზეთები ცოტა ან სულ არ გამოეწერა, თუმცა სულ მოსპობა გარდა ორიოდე წვრილმან გაზეთებისა, რომლებიც მართლაც ათიოდეც არ სადღებოდა, ვერ ბედავდა- იგი ყოველ „ხაკაზის"-ს შეცვლის დროს თანისთან უკლებდა ასეთ გაზეთებს: აქაო და რატომ ბურჟუაზიულ „Рус. сл."-ს ოდენი არ სადღებარ.

სხვა და სხვა ძველი თუ ახალი გამოცემების გამოწერა, მოკლება-მომატებაზე მასთან მუდამ დავა მქონდა. ვარწმუნებდი, რომ მისი ასეთი ნაბიჯი სამდაროვო არ არის და პარტიები იწყენენ თქო და მართლაც კანტორაში რომ საამდროვო გაზეთები, ლიტერატურა არ იყო, ამხანაგებიც, მტრებიც და მოყვარებიც ყველანი დღევანდელ მაცრი მიზეზების გაუკებრათ, ბრალს მე მდებდენ, რადგან შკაფის პატრონ-ბატონათ მე მივაჩნდი ყველას, რაკი საქმეებს ლიტერატურულათ მაინც მე ვხელმძღვანელობდი ფაქტიური მისი გამგე კი ყველას წყრომით, ჯიუტურით არწმუნებდა, რომ შკაფი მისია, ისაა მისი ბატონ-პატრონი და მას (მე) არა ეკითხებაო და ვინ მოსთვლის როგორის ეპიტეტებით არ გამასპინძლებია ამ ნიადაგზე როცა რომელიმე ჩემი ნაცნობი დაინტერესებული შეეკითხებოდა: ეს შკაფი ვისია და ვინ განაგებს მასო. ამის ფაქტები მრავალია, მარა ისედაც წერილი გამიგძელდა სხვა დროისათვის იყოს.

ისიდორე კვიცარიძე.
(დასასრული ხვალ). (ს. დ.)

რუსეთი

ყოფილი სასახლე და საუფლისწულო მიწები. რუსეთში.

სახაზინო მიწები გაცილებით ნაკლებია რუსეთში, ვიდრე სასახლე და საუფლისწულო. ოფიციალ ცნობათა მიხედვით, ამ წლის პირველ იანვრამდი, საუფლისწულო მიწების რაოდენობა უდრიდა 6 მილიონ და 766 ათას დესეტინას, მოლო სასახლე 120 ათას დესეტინას. საერთოდ ორივე ჯურის მიწები 6. 886.000 დესეტინას უდრის. ამ მიწებიდან 608 3,000 დესეტინას ტყეს უკავია. ამნაირად არა ტყეს 803.000 დესეტინა უკავია, ე. ი. მილიონზე ნაკლები და მხოლოდ ამ მიწების დამუშავებადა გამოყენება შეუძლია სამეურნეო ნაწილს სახელმწიფოში. გუბერნიებად შემდეგ ნაირად დანაწილდება სასახლე და საუფლისწულო მიწების რაოდენობა: სიმბირსკის გუბერნიაში-141.000 დესეტინა, სამრისაში 118,000, პერმისაში—64,000, კოსტრომისაში—62,000, ნოვგოროდის - 55,000. ვოლოგდის—52.000, უფის გუბერნიაში—46. 000 დესეტინ. ამ 7 გუბერნიაზე საერთო რიცხვიდან, 803,000 დესეტინიდან, მოდის მხოლოდ 663.000 დესეტინა, ე. ი. დანარჩენ 43 გუბერნიას ხვდება წილად სახნავ—სათესი მიწა 240.000 დესეტინა, ანუ საშუალოთ გუბერნიაზე მოდის 6 000 დესეტინა მიწა.

შემდეგ გუბერნიებში კი გამოსადეგი სასახლე და საუფლისწულო მიწები ასეთი ციფრებით გამოიხატება. კიევის გუბერნიაში—23.960 დესეტინა. პოდოლის —13.731, კოლინის 8.301, ორიოლის —3.738, პოლტავის —76, ხარკოვის 68, რიაზანის—10 კურსკის—0, ტულის 0 და ჩერნიგოვის გუბერნიაში—0.

უკანასკნელი 10 გუბერნიიდან 3—ში სრულიად არაა ტყე, 3—ში მხოლოდ 154 დესეტინა არის, დანარჩენ 4-ში კი 48725 დესეტინა.

ჩრდილო რუსეთის გუბერნიებში—არხანგელისა ვოლოგდისაში—2 598.000 ე. ი. ნახევარი ნაწილი რუსეთის ყველა საუფლისწულო და სასახლე ტყეებისა· თუ ამ ორ გუბერნიას მიუმატებთ სიმბირსკისას—775.000 დესეტინა ტყით, ნოვგოროდისას 685.000 დესეტინით, კოსტრომისას - 503.000 — ით, სამარისას—228.000 —ით, პერმისას — 186.000 —ით და ვლადიმირისას -198.000—ით, მაშინ ამ რვა გუბერნიაში საერთო რიცხვი ტყისა იქნება 5.144.000 დესეტინა. საერთო 6.083.000 დესეტინა ტყიდან დანარჩენ 42 გუბერნიაზე მოდის 939.000 დესეტინა, ანუ 22.000 დესეტინა საშუალოთ თითო გუბერნიაზე; ხოლო, თუ მთელ 6,083.000 ყველა გუბერნიებზე, მაშინ თითო გუბერნიაზე მოდის საშუალოთ 121.000 დესეტინაზე ცოტა მეტი. ამნაირად. საუფლისწულო და სასახლე მიწები მეტად მცირე ნაწილს შეადგენენ რუსეთში და ისიც უსწორმასწოროდ არიან გაბნეულნი გუბერნიებში. სახაზინო მიწებსავით, ეს მიწები ისეთ გუბერნიებზე მოდის, რომლებშიც გლეხები უზრუნველყოფილნი არიან მიწებით, ანუ უკიდურეს შემთხვევაში უმიწობას მწვავედ არ განიცდიან, როგორც ეს რუსეთის ცენტრალ გუბერნიებში ხდება.

რუსეთის ქალაქების ფინანსები.

1897 წელს, რუსეთის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი იყო სულ 16.855.000 სული, ხოლო 1915 წელს იგი უკვე 27,404 600 სულამდე ავიდა. 1897 წელს რუსეთში იყო 20 ქალაქი 6 000.000 მცხოვრებით (თითო ქალაქზე საშუალო რიცხვით მოდიოდა 100.000 სულზე მეტი), ხოლო 1915 წელს რუსეთში იყო 46 ქალაქი 13.383.200 მცხოვრებით (თითო ქალაქზე ახლაც 100.000 მეტი სული მოდის). 1901 წელს რუსეთის ყველა ქალაქების შემოსავალ-გასავალი ასეთი იყო: შემოსავალი—103.443 მანეთი, ხოლო 1907 წელს შემოსავალი უკვე 237.679.200 მანეთამდე ავიდა. ქალაქების ვალი 1901 წელს ავიდა 147.5000.000 მანეთამდე, ხოლო 1911 წელს უკვე 265. 000.000 მანეთამდე, ეს ვალები, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, საქალაქო დაწესებულებათა მხრიდანაც და ქალაქის საადგილ-მამულო ქონების მხრიდანაც, უზრუნველ ყოფილია. ქალაქების დავალიანება დღე-დღეზე პროგრესიულად იზრდება. ჰფიქრობენ, რომ ამერიკელები საქალაქო დაწესებულებათათვის დიდ ფულს გაიღებენ.

დონის ნახშირის საქმე.

არა თუ დამაფიქრებელი, არამედ მეტად მძიმე და საშინელ ამბები მოდის დონეცის ბასეინიდან. სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველთა გამოანგარიშებით ნახშირის მრეწველობის ნაყოფიერება დღითი—დღე ეცემა იმდენად საშინელი მდგომარეობა დამყარებულა თურმე, რომ სამთო მრეწველებს ყრილობა დროებით შეუწყვეტიათ და საქმის გამოსაძიებლად დონეცზე წასულან.

გადასახადების მდგომარეობა.

რუსეთის სხვადასხვა ადგილების ცნობით. მცხოვრებლები სრულიად აღარ იხდიან არავითარ გადასახადებს იმ მოსაზრებით, რომ გადასახადები ძველი მთავრობის მიერ არის შემოღებულიო და, რაკი ეხლა ახალი მთავრობა დამკვიდრდა, არც უნდა გადავიხადოთ რამე და არც სიების შედგენის ნებას მივსცემთ ვინმესო. თუ ასე გაგრძელდა მოსალოდნელია, რომ ცხოვრება და მაჯის ცემა სახელმწიფოში სრულებით შეწყდეს. რუსეთი ქაღალდის ფულად იქცა. მარტო ერთი კვირის განმავლობაში, ივლისის დამლევს სახელმწიფო ბანკმა გამოუშვა 209.000.000 მანეთის ქაღალდის ფული; ყოველივე ეს, ერთად აღებული საშინლად აიაფებს რუსულ ფულს როგორც შინაგან ისე გარე ბაზარზე.

ცხენის ქურდი -თავმჯდომარედ.

სარატოვის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრაში, ბრბომ ცხენის ქურდი შეიპყრო და მოჰკლა. როგორც გამოირკვა, ის ცნობილი ყოფილა ამ პროფესიაში და ნოვო-ალექსანდრიის სოფლის კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფილა არჩეული.

კერენსკი სტოკჰოლმის კონფერენციის წინააღმდეგია.

ლონდონის გაზეთები იტყობინებიან, რომ ინგლისის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში ცნობები მიიღეს, რომ რუსეთის მთავრობა და ყველაზე უფრო თვით კერენსკი სტოკჰოლმის კონფერენციას მეტად უარყოფითად ეგებებიან. გაზეთ „მანჩ. გვარდ." ცნობის თანახმად ალბერ ტომას შეუტყობინებია ლონდონში, რომ კერენსკი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია სრულებით არ შესდგეს. ასეთ ცნობებს მუშათა წრეები ძალზე აუღელვებია.

ბურიატების გაქცევა.

ბურიატები მასიურ გადახიზვნას ეწევიან ზაბაიკალიდან საზღვრით მონგოლიაში და თან მიიდენიან მსხვილ-ფეხა საქონელს, ცხვრებსა და ჯოგებს. ისინი დიდ-ფასებშიც არ თანხმდებიან მიჰყიდონ საქონელი ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამის გამო მთელი მხარე ღატაკდება და უძლურდება.

პლეხანოვი მომენტზე.

რუს. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერი „შეგნებულ დემოკრატიის შეგნებულ ბელადათ" წოდებული გიორგი პლეხანოვი „ედინსტვოში" სწერს: „რუსეთის ხსნა სამოქალაქო ომში კი არ არის არამედ ყოველმხრივ შეგნებულ სისტემატიურ და სინდისიერ შეთანხმებაში 2 კლასისა, რომელთა შეერთებული ძალა ერთნაირადაა საჭირო რუსეთის ეკონომიურ განახლებისათვის. ვაი იმ უტოპისტებს სულ ერთია რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდენ, ვისაც ეს ვერ შეუგნია.

ვაჟა-ფშაველას საღამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოს 13 ქალაქის თეატრში ვაჟას გარდაცვალებიდან ორი წლის თავის აღსანიშნავად და მისივე სახელობის სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა საღამო. დაიდგა პიესა „ქართველი [illegible]ის ბევრჯერ დადგმული ხოლმე, და ამ რამდენიმე კვირის, წინედაც ითამაშეს ქალაქის თეატრში, რათაც საღამომ ბევრი დაკარგა. უკეთესი იქნებოდა დადგმულიყო ერთ მოქმედებიანი პიესა ვაჟას რომელიმე პოემიდან, ცოცხალი სურათები და სხვა.

რაც შეეხება პიესის ასრულებას, კარგი იყო დ. ჩარკვიანი (ვახტანგი და ავალიანის ქალი (ლეილა). სხვები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

ვაჟას მოღვაწეობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ალ. წერეთელმა და ლადო ბზვანელმა.

დივერტისმენტში ლექსები წაიკითხეს ლ. ბზვანელმა, დ. შენგელაიამ, შ. კარმელმა სკრიპკაზე დაუკრეს: შ. ლეკვიაშვილმა, რომელიც „ბის"-ზე გამოიწვიეს და პ. ბოკერიამ; პიანინოსთან იყვნენ: ნ. შარაბიძე და ვ. ცაგერიშვილი, იმღერეს: ვ. ჯაფარიძემ, ხმალაძემ და ი. ჩხაიძემ, რომელნიც საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. უკეთესი იქნებოდა, რომ საღამო უფრო მოკლე ყოფილიყო და თვით ვაჟას მეტი ადგილი ქონებოდა დათმობილი.

საღამო დასრულდა ღამის ორის ნახევარზე ძველი დროით.

ხალხი ბევრი დაესწრო. **ამური.**

ჩვენი ფოსტა.

ტიტიკოს (ხიდისთავი, გურია,) ამ მოკლე ხანში გამოგიგზავნით ყველაფერს, რასაც ითხოვდით.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47 წ.
"	— საღამ. —	8 ს. 49 "
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55 "
"	— ღამის —	11 ს. 42 "
"	— დილის —	10 ს. 20 "
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17 "
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. "
	დილის —	9 ს. 10 "
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24 "

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25 "
"	ღამის —	10 ს. 20 "
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 1 "
"	— დღით —	1 ს. 40 "
"	დილის —	6 ს. 20 "
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57 "
	— დღით —	2 ს. 37 "
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40 "

ექიმები

ი. ჩარექიშვილი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში უშვებს „606" და „914") დღით 12½ 2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხ. ტელეფონი 135 №.

ზ. ი. ზოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღაამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემანსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში